



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 365

23/01/2019

365-09-2-201901231259



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 09 იანვარს N5/896 წერილით, მომმართა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი დუგლაძემ, რომელმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით ითხოვა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა განიხილოს მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა - „ტოიოტა-ლენდკრუიზერ-პრადო“, სახელმწიფო NXGX - 772, საიდენტიფიკაციო NJTEBY25J800069349), სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, აღნიშნული კანონით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

- ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
- ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა





KA021735062444019

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/896

09 / იანვარი / 2019 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 31.12.2018წ. NMIA 1 18 00000241 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, მოძრავი ქონების - ავტომანქანა: „ტოიოტა-ლენდკრუიზერ-პრადო“-ს, სახ. ნომერი XGX-772, საიდენტიფიკაციო ნომერი JTEBY25J800069349, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

გიგზავნით, ზემოხსენებულ წერილს. გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემის საკითხი, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 1 18 00000241



31/12/2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი დუგლაძეს

ასლი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას

ბატონო გიორგი,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოგმართავთ თხოვნით, დასვათ საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე, მათ საკუთრებაში არსებული ავტომანქანის "ტოიოტა-ლენდკრუიზერ-პრადო", სახელმწიფო № XGX - 772, საიდენტიფიკაციო № JTEBY25J800069349, სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ, შემდგომში მისი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადმოსაცემად.

პატივისცემით,



ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
თია მელაძე

ა. მელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2019 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სახელმწიფოსთვის
უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის
პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა - „ტოიოტა-ლენდკრუიზერ-პრადო“, სახელმწიფო
NXGX - 772, საიდენტიფიკაციო NJTEBY25J800069349), სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში
გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში,
მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს
„ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე